

თანამედროვე საგანმანათლებლო პროცესებში არსებული სირთულეებისა და პრობლემების მოკლე მიმოხილვა

მადონა ნიკოლაიშვილი

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტი, ქ. თბილისის № 2 საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი

რეზიუმე

სტატია ეძღვნება თანამედროვე საგანმანათლებლო პროცესებში არსებული სირთულეებისა და პრობლემების ანალიზს. ავტორი მიიჩნევს, რომ პრობლემა, რომელსაც მიმოიხილავს იგი, მრავალწახნაგოვანია და ერთ სტატიაში ძნელია ყველა დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა, ამიტომ ყურადღება გამახვილებულია მხოლოდ რამდენიმე ასპექტზე. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომლის გარკვევასაც ცდილობს ავტორი, არის ის, თუ რამდენად პოპულარულია მასწავლებლის პროფესია ახალგაზრდებს შორის და როგორი აკადემიური მოსწრების მქონე აბიტურიენტები ირჩევენ მას. 2005-2012 წლების ეროვნული გამოცდების შედეგების ანალიზის საფუძველზე ავტორი ასკვნის, რომ პედაგოგის პროფესია ახალგაზრდებს შორის ერთ-ერთი ყველაზე არაპოპულარულია და მას ძირითადად დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე აბიტურიენტები ირჩევენ.

გარდა ამისა, სტატიის ავტორი ეხება ისეთ მტკივნეულ პრობლემებს, როგორცაა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნობრივი პროგრამების შეუსაბამობა საათობრივ ბადასთან, სახელმძღვანელოებისა და მეთოდური ლიტერატურის სიმწირე და უზარისხოება, საზოგადოების ინდიფერენტულობა საგანმანათლებლო სივრცეში არსებული პრობლემების მიმართ და სხვა.

საკვანძო სიტყვები: საგანმანათლებლო პროცესები, მასწავლებლის პროფესია, პედაგოგიური კადრების მომზადება, მეთოდური ლიტერატურა.

„გაგიგონიათ მებაღე, რომელიც უზომოდ მონატრული ყოფილიყოს ხილის უხვი მოსავლისა და ხეხილებისთვის კი ძირი და ფესვები ეთხაროს, ეფუჭებინოს, ეხმოს? განა, არ გაგიგონიათ?“

იაკობ გოგებაშვილი

საქართველოში ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნებია:

- ა) მოსწავლის ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე, თავისუფალ პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის საჭირო პირობების შექმნა;
- ბ) მოსწავლის გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარება, აუცილებელი ცოდნით უზრუნველყოფა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული

სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება, მოსწავლის მიერ კულტურულ ფასეულობათა პატივისცემა, ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და გარემოს წინაშე უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში ხელის შეწყობა.

(საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, მუხლი 3).

ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონსა და ეროვნულ სასწავლო გეგმაში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნები, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლესა და მის განვითარებაზე. ამ მიზნების მიღწევა შეუძლებელია სასწავლო პროცესის ნორმალური მსვლელობის, მასში მონაწილე სუბიექტების - მასწავლებლისა და მოსწავლის მიღწევებზე მოქმედი ფაქტორების გაუთვალისწინებლად.

მიუხედავად მრავალმხრივი რეფორმებისა, საგანმანათლებლო სივრცეში დღეს მაინც უამრავი პრობლემა არსებობს, რომელთა გადაჭრაც სასიცოცხლოდ აუცილებელია სისტემის ფუნქციონირებისათვის. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა არის პედაგოგის პროფესიის არაპრესტიჟულობა

საზოგადოების ყველა წევრი თანხმდება იმაზე, რომ მათი შვილების სწავლება და აღზრდა უნდა მივანდოთ გამოცდილ, პროფესიონალ მასწავლებელს, რომელიც აღჭურვილია ღრმა თეორიული ცოდნითა და პედაგოგისთვის საჭირო კომპეტენციებით, მაგრამ კონკრეტულად რა კეთდება იმისათვის, რომ სკოლებში გვყავდეს ასეთი და მხოლოდ ასეთი მასწავლებლები? გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრის 2005-2013 წლების ეროვნული გამოცდების შედეგების არქივის მასალებზე დაყრდნობით შევეცადეთ გაგვეჩვენოთ, რამდენად პოპულარულია მასწავლებლის პროფესია ახალგაზრდებს შორის და როგორი აკადემიური მოსწრების მქონე აბიტურიენტები ირჩევენ მას. რადგან აბიტურიენტის აკადემიური მოსწრების დონე მნიშვნელოვანწილად განაპირობებს სახელმწიფო დაფინანსების მოპოვებას, ამიტომ, სწორედ მიღებული სასწავლო გრანტი ავირჩიეთ აკადემიური მოსწრების ინდიკატორად.

2005 წელს პედაგოგიურ ფაკულტეტებზე მიღება გამოაცხადა 21-მა უმაღლესმა სასწავლებელმა. სულ ჩაირიცხა 977 აბიტურიენტი, სახელმწიფო დაფინანსება კი მიიღო მხოლოდ 43-მა. (ცხრილში მოცემულია ჩარიცხულთა და გრანტირებულთა რაოდენობები ფაკულტეტების მიხედვით). როგორც ცხრილიდან ჩანს, ჩარიცხულთა მხოლოდ 4,4%-მა მოიპოვა სახელმწიფო დაფინანსება.


2005 წელი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება	კოდი	ჩარიცხულთა რაოდენობა	გრანტი
ქუთაისის აკ.წერეთლის სახ.უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტი	009-09	50	1
ი.ჭავჭავაძის სახ უნივერსიტეტი	010-03	72	22

სოხუმის უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკ.	012-05	50	-
ოსუ მესხეთის ფილიალი	014-04	12	-
ი.გოგებაშვილის სახ.თელავის უნივერსიტეტი	071	37	-
სულხან-საბა ორბელიანის სახ.თბილისის სახ. პედაგოგიური უნივერსიტეტი	096	540	20
შოთა რუსთაველის უნივერსიტეტი	114	50	-
სხვა		166	-
სულ პედაგოგიურ ფაკულტეტებზე		977	43


აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 2005 წლის მაჩვენებლები არაა გამონაკლისი, ანალოგიური ვითარებაა მომდევნო წლებშიც. აბიტურიენტთა შორის ამ პროფესიის არაპოპულარულობას ხაზს უსვამს ის ფაქტიც, რომ 2006 წელს სოხუმის უნივერსიტეტის პედაგოგიურ ფაკულტეტზე (012-05) ჩარიცხული 41 აბიტურიენტიდან მხოლოდ 10-სთვის იყო ეს ფაკულტეტი 1-ლი არჩევანი, ხოლო უმრავლესობისთვის - მე-5, მე-6 და მე-7-ც კი. ასევე, თელავის უნივერსიტეტის პედაგოგიურ ფაკულტეტზე (071-06) ჩარიცხულთაგან(38 აბიტ.) მხოლოდ 4-მა აირჩია პირველ ადგილზე პედაგოგიური ფაკულტეტი, ხოლო ი.ჭავჭავაძის სახ. უნივერსიტეტის პედ. ფაკულტეტზე (073-01) 18 აბიტურიენტიდან არც ერთს არ აურჩევია 1-ლ ადგილზე. ანალოგიური მდგომარეობაა სხვა სასწავლებლებში.

2007 წელს სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში(აკ.წერეთლის, ი.გოგებაშვილის, შოთა რუსთაველისა და გორის უნივერსიტეტები) პედაგოგიურ ფაკულტეტებზე ჩარიცხული 168 აბიტურიენტიდან 100%, 70% და 50%-იან გრანტი არავის მოუპოვებია, მხოლოდ 7-მა მოიპოვა 30%-იანი დაფინანსება, რაც ჩარიცხულთა 4,2%-ს შეადგენს.




ამ მხრივ მდგომარეობა არც მომდევნო წლებში შეცვლილა. ასე, მაგ., 2008 წელს სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების(აკ.წერეთლის, სოხუმის, ახალციხის,

ი.გოგებაშვილის, შოთა რუსთაველისა და გორის უნივერსიტეტები) პედაგოგიურ ფაკულტეტებზე სულ ჩარიცხა 217 აბიტურიენტი, აქედან 22-მა აბიტურიენტმა, ანუ ჩარიცხულთა 10,1%-მა მოიპოვა დაფინანსება სხვადასხვა რაოდენობით, მათ შორის მხოლოდ 1-მა მიიღო 100%-იანი, 2-მა - 70%-იანი, 3-მა - 50%-იანი, ხოლო 16-მა - 30%-იანი დაფინანსება.



2009 წელს, სხვადასხვა უნივერსიტეტების პედაგოგიურ ფაკულტეტებზე ჩარიცხული 456 აბიტურიენტიდან მხოლოდ 20-მა (ჩარიცხულთა 4,4%) მოიპოვა დაფინანსება, მათ შორის 17-მა -30%-იანი.



რაც შეეხება 2010-2012 წლების მაჩვენებლებს, გთავაზობთ ცხრილის სახით:

უმაღლესი სასწავლებელი	კოდი	2010 წ.		2011წ.		2012წ.	
		ჩარიცხ.	გრანტი	ჩარიცხ.	გრანტი	ჩარიცხ.	გრანტი
აკ.წერეთლის უნივერსიტეტი	009-05	150	50%-3 30%-4	187	100%-1 50%-3 30%-15	146	50%-3 30%-15
სოხუმის უნივერსიტეტი	012-04	60	30%-18	60	50%-2 30%-57	60	30%-21
ახალციხის სახ.სასწ. უნივერსიტეტი	014-02	130	50%-2 30%-8	115	70%-3 50%-4 30%-13	16	30%-3
„რვალი“-საერო უნივერსიტეტი	062-03	25	-	18	30%-1	60	30%-1
შავი ზღვის უნივერსიტეტი	064-05	40	70%-1 50%-1 30%-4	-	-	-	-
თელავის სახ. უნივერსიტეტი	071-01	50	-	14	30%-2	23	50%-2 30%-1
შოთა რუსთაველის უნივერსიტეტი	114-08	5	-	202	70%-3 50%-14 30%-33		70%-1 50%-1 30%-5
გორის სასწავლო უნივერსიტეტი	133-01	101	70%-2 50%-1 30%-1	25	50%-2 30%-4	20	30%-3
სულ პედაგოგიურ ფაკულტეტებზე		561	45	621	157	325	56

შენიშვნა:

2010 წელს ახალციხის უნივერსიტეტში განათლების მიმართულება გაერთიანებულია ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტთან, ხოლო

2011 წელს - ისტორიისა და ქართულ-ინგლისური ფილოლოგიის ფაკულტეტთან. ამავე წელს რუსთაველის უნივერსიტეტის მაჩვენებლებში ასახულია დაწყებითი განათლების; კომპიუტინგის; მათემატიკის; ფიზიკის; ქიმიის; ბიოლოგიის; გეოგრაფიისა და ეკოლოგიის ფაკულტეტზე ჩარიცხულთა საერთო რაოდენობა.

ჩემი ხანგრძლივი პედაგოგიური პრაქტიკის განმავლობაში აბიტურიენტებს ხშირად მოუმართავთ რჩევისათვის პროფესიის არჩევასთან დაკავშირებით. კითხვაზე, თუ რატომ არ ირჩევენ ახალგაზრდები პედაგოგის საპატიო პროფესიას, პასუხი ცალსახაა: ისინი მთავარ მიზეზად ასახელებენ მიზერულ ხელფასს, აგრეთვე შეუსაბამობას სამუშაოს მოცულობასა და ანაზღაურებას შორის.

2012-2013 სასწავლო წლის II სემესტრში, ი. გოგებაშვილი სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის დაწყებითი განათლების

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე, როგორც ამავე უნივერსიტეტის დოქტორანტს, ასისტენტის რანგში მიმყავდა პრაქტიკულ-სემინარული კურსი „მათემატიკის დაწყებითი კურსის სწავლების მეთოდოლოგიაში“ III კურსთან. ჯგუფში ირიცხებოდა 12 სტუდენტი. აქვე აღვნიშნავ, რომ ეს იყო ამ ჯგუფში პირველ კურსზე ჩარიცხულ სტუდენტთა დაახლოებით 33% (2010 წელს ჩარიცხული 50 სტუდენტიდან ხელშეკრულება გააფორმა მხოლოდ 44 სტუდენტმა, მათგან დაწყებითი განათლების სპეციალობით 36-მა, დანარჩენი სტუდენტები ჩაირიცხნენ ფიზიკური აღზრდის სპეციალობით). ასეთი დაბალი პროცენტი გამოიწვია სტუდენტთა „გადინებამ“ აღნიშნული სპეციალობიდან: ნაწილმა ისარგებლა მობილობის უფლებით და გადავიდა სხვა საგანმანათლებლო პროგრამებზე, ნაწილს კი შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი.

ეს არის ტიპური მაგალითი იმისა, რომ მასწავლებლის პროფესია ახალგაზრდებს შორის ერთ-ერთი ყველაზე არაპოპულარულია და მას ძირითადად დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე აბიტურიენტები ირჩევენ. შეიძლება ვინმე შემედავოს, რომ მასწავლებელთა შორის მრავლადაა ე.წ. არაპედაგოგიური, მაგრამ სასკოლო დისციპლინების სწავლებასთან დაკავშირებული პროფესიების წარმომოდგენლებიც, მაგალითად, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, ან ჰუმანიტარული ფაკულტეტების კურსდამთავრებულებიც, მაგრამ ასეთი ფაკულტეტების საბაკალავრო პროგრამებზე სავალდებულო 240 კრედიტის ფარგლებში, უკეთეს შემთხვევაში, არის საგნის მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი არჩევითი ბლოკის ან კონცენტრაციის გავლის შესაძლებლობა, (მაგალითად, ივ.ჯავახიშვილის სახ.თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის კონცენტრაცია „მათემატიკის მასწავლებელი“). უმრავლეს შემთხვევაში კი, სამწუხაროდ, საბაკალავრო პროგრამების სტრუქტურაში საერთოდ არაა გათვალისწინებული პედაგოგიკასთან დაკავშირებული საგნები ან მოდულები, ისეთები, როგორცაა მაგ. საგნის სწავლების მეთოდოლოგია (ზოგადი და კერძო), აგრეთვე განათლების ფსიქოლოგია, განათლებისა და სწავლების თეორიები, ბავშვისა და მოზარდის განვითარების ფსიქოლოგია და სხვა. ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზია იმისა, რომ ზემოაღნიშნული ფაკულტეტების კურსდამთავრებულებს, მიუხედავად ღრმა საგნობრივი ცოდნისა, თითქმის არ გააჩნიათ პროფესიული პედაგოგიური უნარები, სათანადოდ ვერ ფლობენ საგნის სწავლების მეთოდოლოგიას, მათი მისამართით ხშირად გაიგონებთ, რომ ბრწყინვალედ იცის საგანი, მაგრამ მასალის ახსნა და გადმოცემა მოსწავლისთვის გასაგები ლექსიკით არ შეუძლია. აქ საკითხი უნდა დაისვას იმ მხრივაც, რომ საბაკალავრო დონეზე მასწავლებლის მომზადება ხდება მხოლოდ დაწყებითი განათლების მიმართულებით. რაც შეეხება საგნის მასწავლებელს, ამ შემთხვევაში აუცილებელია ან, როგორც ზემოთ აღვნიშნე, მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი პროგრამის გავლა, ან სამაგისტრო პროგრამის დასრულება.

საინტერესოა ისიც, რომ მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე აბიტურიენტები ნაკლებად ირჩევენ არაპედაგოგიურ, მაგრამ სასკოლო დისციპლინების შესაბამის სფეროსთან ასე თუ ისე დაკავშირებულ პროფესიებსაც, ამის ნათელი მაგალითია თუნდაც ის, რომ 2009 წელს ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტზე (001-02) ჩარიცხული 800 აბიტურიენტიდან 100%-იანი დაფინანსება მოიპოვა მხოლოდ 78-მა,

ანუ ჩარიცხულთა 9,75%-მა, მაშინ როცა ამავე უნივერსიტეტის ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტზე (001-01) ჩარიცხულ ყველა აბიტურიენტს (885 კაცი) მოპოვებული აქვს დაფინანსება, მათ შორის 100%-იანი გრანტით ჩარიცხულია 307 აბიტურიენტი, ანუ 34,7%, და ეს სტატისტიკა არ არის გამონაკლისი, ანალოგიური სიტუაციაა ყოველ წელს, აღარაფერს ვამბობთ თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ESM ბიზნეს სკოლაზე, სადაც 2009 წლიდან დღემდე ჩარიცხული 415 აბიტურიენტიდან 407 მათგანს ანუ 98,1%-ს მოპოვებული აქვს 100%-იანი დაფინანსება, დანარჩენ 8-ს კი - 70%-იანი. პრობლემა, რომელსაც ჩვენ შევხებით, საინტერესოა გეოგრაფიული თვალსაზრისითაც. 2005-2012 წლების შედეგების მიმოხილვისას გამოიკვეთა, რომ პედაგოგიური კადრების მომზადება რეგიონული უნივერსიტეტების პრეროგატივაა, დედაქალაქის მაღალრეიტინგული სასწავლებლები არ, ან თითქმის არ მონაწილეობენ ამ პროცესში. თუმცა, 2013 წლის ეროვნულ გამოცდებზე ამ კუთხით იყო სასიამოვნო სიახლეც, კერძოდ, პედაგოგიური სპეციალობები გამოჩნდა ისეთი უმაღლესი სასწავლებლების საგანმანათლებლო პროგრამებში, როგორცაა ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (0010105) და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (010010110) ძირითადი (**major**) სპეციალობის სახით.

ახლა უკვე შეგვიძლია ვუპასუხოთ სტატიის დასაწყისში დასმულ კითხვასაც. როგორც დინამიკიდან ჩანს, წლების მანძილზე მდგომარეობა არ შეცვლილა, არავის შემოუკრავს განგაშის ზარები იმაზე, რომ პედაგოგიური პროფილის საბაკალავრო პროგრამებზე მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე აბიტურიენტების ნაკლებობაა, არავის გაუკეთებია პროგნოზი, რომ ყოველივე ეს რამდენიმე წელიწადში გამოიწვევდა იმ შედეგს, რაც დღეს მივიღეთ. ახლაც კი ფაქტის წინაშე მდგომი საზოგადოება ძირითადად დაკავებულია მხოლოდ ამ ფაქტის ტირაჟირებითა და ღირსებაშელახულ მასწავლებელთა კორპუსისაკენ თითის გაშვებით და არა შექმნილი სიტუაციიდან გამოსავლის ძიებით, არავინ ახსენებს მოტივაციის (მატერიალური თუ მორალური) არარსებობას, მრავალმხრივი და ქმედითი დახმარების საჭიროებას თუ სხვა უამრავ მიზეზს.

შემდეგი პრობლემა და ამასთან, საკმაოდ მტკივნეული, არის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნობრივი პროგრამების შეუსაბამობა საათობრივ ბადესთან. ესგ-ს შესავალში გარკვევითაა ნათქვამი, რომ **პიროვნებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროცესის ცენტრში დგას მოსწავლე, მისი განვითარების პროცესი და მის მიერ მიღწეული შედეგი.** შემოთავაზებული საათობრივი ბადე კი თითქმის არ ითვალისწინებს ინდივიდუალური მახასიათებლებით, ნიჭით, ემოციებით, ინტერესებით, პირადი გამოცდილებით, აკადემიური საჭიროებებით და სწავლის სტილით განსხვავებული მოსწავლეების სწავლებისთვის საჭირო საგაკვეთილო დროს. მაგალითისთვის, მინდა თქვენი ყურადღება შევაჩერო, ერთი მხრივ, საბაზო საფეხურზე მათემატიკის სასწავლო პროგრამის უზარმაზარ მოცულობაზე და, მეორე მხრივ, საათობრივი ბადით გათვალისწინებულ 4 კვირეულ საათზე.

ბოლოს, მინდა ერთ ძალიან აქტუალურ საკითხსაც შევხებო, კერძოდ, საქმე ეხება სასწავლო რესურსების, მათ შორის, სახელმძღვანელოებისა და მეთოდური

ლიტერატურის, ქართულენოვანი ელექტრონული და ინტერნეტ-რესურსების, თვალსაჩინოებების სიმწირესა და უხარისხობას. უამრავი პრობლემით დამძიმებული პედაგოგები ამ მხრივაც მეტად შეზღუდულები არიან არჩევანში. თითქმის ყველა საგნის მასწავლებელი წუხს იმაზე, რომ გრიფირებული სახელმძღვანელოების ნუსხა უღარიბესია, ზოგ საგანში კი ალტერნატივა პრაქტიკულად არ არსებობს. ბუნდოვანია სახელმძღვანელოების გრიფირების წესიც. ხშირ შემთხვევაში გაუგებარია, რა კრიტერიუმებით მიენიჭა ამა თუ იმ სახელმძღვანელოს გრიფი, იმიტომ, რომ ზოგიერთი მათგანი სრულად არ ფარავს საგნობრივ სტანდარტს, ზოგი მხოლოდ მაღალფარდოვანი აკადემიური ენით დაწერილი თეორიული მასალითაა გაჯერებული და სავარჯიშოები და დამოუკიდებლად სამუშაო მასალა მცირეა. არ მინდა ვინმემ იფიქროს, თითქოს აკადემიური ენის წინააღმდეგი ვიყო, მაგრამ შეუძლებელია, მე-9 კლასელი მოსწავლე და მე-2 კურსელი სტუდენტი ერთნაირად აზროვნებდეს და მეტყველებდეს. რაც შეეხება გრიფირებული სახელმძღვანელოების თანმხლები მეთოდური ლიტერატურის ხარისხს, ხშირ შემთხვევაში ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ან რა ხარისხზე შეიძლება საუბარი, როცა დაახლ. 350 გვერდიან მოსწავლის სახელმძღვანელოზე გვაქვს 100 გვერდიანი მეთოდური ბროშურა, რომელშიც ტექსტის ნახევარი გადმოკოპირებულია ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემული საგნობრივი სტანდარტებიდან. (იხ. ამონარიდი)

ნიმუში

1

2.7 კვადრატული სამწევრის მამრავლებად დაშლა

მიზანი: 1) ვასწავლოთ კვადრატული სამწევრის მამრავლებად დაშლა;

2) $ax^2 + bx + c = a(x - x_1)(x - x_2)$ ფორმულის გამოყენებით კვადრატული სამწევრის მამრავლებად დაშლის უნარ/ჩვევების გამომუშავება.

პარაგრაფის შესწავლის შედეგად მოსწავლემ უნდა იცოდეს $ax^2 + bx + c$ სამწევრის ფესვების განმარტება, $ax^2 + bx + c = a(x - x_1)(x - x_2)$ ფორმულის გამოყენება. უნდა შეეძლოს რიცხვითკოეფიციენტებიანი კვადრატული სამწევრის ფესვების მოძებნა და მამრავლებად დაშლა.

კომენტარები სავარჯიშოებისათვის და პასუხები.

სავ.№11. სრულ კვადრატს წარმოადგენს, მაშინ როცა

$$D = 0 \Leftrightarrow \frac{D}{4} = 0 \Leftrightarrow (a-4)^2 - (a^2 + 6a + 3) = 0 \Rightarrow a = \frac{13}{14}. \quad \text{პასუხი: } \frac{13}{14}$$

$$\text{სავ.№12. } x_1^2 - x_2^2 = 60 \Rightarrow 10(x_1 - x_2) = 60 \Rightarrow \begin{cases} x_1 - x_2 = 6 \\ x_1 + x_2 = 10 \end{cases} \Rightarrow x_1 = 8, x_2 = 2 \Rightarrow q = 16.$$


5. მონაკვეთი


რეზიუმე:
მოსწავლემ უნდა შეძლოს მონაკვეთის ჩანერა მისი ბოლოებით. ტოლი მონაკვეთების მონიშვნა. წრფეზე სამი წერტილით მიღებული მონაკვეთებისთვის ორის სიგრძის მოცემულობით მესამეს სიგრძის პოვნა.


ამოხსნები, მითითებები:

1. გ) $11-x$.

2. ა) $MB=AB-AM$; ბ) $AB=AM+MB$.

3.  $AB=AC+CB=\frac{MC}{2} + \frac{CN}{2} = 2,5$

4. ა)  $MK=MN+NK$
 $MK=5,9+7=12,9$ სმ.

ბ)  $MK=NK-MN=1,1$ სმ.

45

როგორც ხედავთ, მათში არაფერია ნათქვამი თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად დაგეგმილი, სწავლების მრავალფეროვანი სტრატეგიებითა და სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით გაჯერებული, საინტერესო და სახალისო გაკვეთილების, ინტეგრირებული გაკვეთილების, პროექტ-გაკვეთილების ჩატარების მეთოდიკის შესახებ. და თუ ყოველივე ამის შემდეგ მასწავლებელი მაინც ფლობს სათანადო საგნობრივ და მეთოდოლოგიურ ცოდნას მოსწავლეების მოტივაციისა და მაღალი აკადემიური შედეგების უზრუნველსაყოფად, მაინც ახერხებს, მიიზიდოს მოსწავლის ყურადღება და საგაკვეთილო პროცესი გახადოს მოსწავლისთვის საინტერესო, ეს მხოლოდ მისი თავდაუზოგავი შრომის, ძიების, შემოქმედებითი უნარის, თვითგანვითარებაზე დაუღალავი ზრუნვისა და, რაც მთავარია, ბავშვების, მოსწავლეების, აგრეთვე საკუთარი პროფესიის დიდი სიყვარულის გამოხატულებაა და არა ვინმესგან მიღებული ქმედითი დახმარების შედეგი.

როგორც ვხედავთ, რეალობა დამაფიქრებელია, მაგრამ გამოსავალი არსებობს. იქნებ დადგა დრო, თვალი გავუსწოროთ სინამდვილეს, შევაფასოთ წლების მანძილზე მიმდინარე რეფორმა, გადავასდეს ღირებულებები, რომლებიც მუტაციური გენივით გაუაზრებლად, აღზრდისა და განათლების მრავალსაუკუნოვანი ეროვნული ტრადიციების გაუთვალისწინებლად გადმოინერგა უცხოეთის საგანმანათლებლო სივრციდან, მთავარი რესურსი მდგომარეობის გამოსწორებისა, ესაა ქართული პედაგოგიური სკოლის აღორძინება, რაც გულისხმობს საგანმანათლებლო პროცესის წარმართვას ეროვნული ცნობიერებით ნასაზრდოები მეთოდოლოგიით, განათლების ეროვნული კონცეფციის შექმნა და საგანმანათლებლო სივრცეში მოქმედი თითოეული

სუბიექტის მისიის განსაზღვრა, ახალი საკანონმდებლო ინიციატივების, მათ შორის, ეროვნული სასწავლო გეგმის შემუშავება (საათობრივი ბადის სინქრონიზება საგნობრივ პროგრამებთან) და ამ პროცესში პრაქტიკოს პედაგოგთა აქტიური ჩართვა, ქმედითი ღონისძიებების გატარება განათლების დაფინანსების რაოდენობისა და ეფექტურობის გაზრდის მიზნით, აქტიური მუშაობა როგორც მასწავლებელთა პროფესიული ზრდის, ასევე მეთოდური ლიტერატურის სრულყოფისათვის და ამ საქმეში დედა უნივერსიტეტის, როგორც ამ პროცესის წარმმართველი რგოლის როლის გამოკვეთა, პედაგოგის პროფესიის პოპულარიზაციის ღონისძიებების შემუშავება, კერძოდ, მასწავლებელთა მატერიალური და მორალური წახალისების სისტემის გაუმჯობესება, ამაგდარ პედაგოგთა ღვაწლის წარმოჩენა და დაფასება, განათლების სფეროში კონკურენტული გარემოს შექმნა და ნიჭიერი ახალგაზრდების მოზიდვა.

დასასრულ, მინდა შემოგთავაზოთ ამონარიდი შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის ქ-ნი მაია მიმინოშვილის მიერ გაზეთ „ახალი განათლებისთვის“ მიცემული ინტერვიუდან, რომელშიც იგი ბრძანებს: - პირველ რიგში, საშუალო განათლების საფეხურს უნდა ეშველოს რამე. არც უმაღლეს განათლებაზე შეგვიძლია საუბარი და არც მეცნიერების განვითარებაზე, თუ საშუალო საფეხურის პრობლემები არ მოგვარდება მნიშვნელოვანი მიმართულებებით — თვითონ ორგანიზება საშუალო განათლების საფეხურის; რა თქმა უნდა, სასწავლო გეგმები და პროგრამები, სახელმძღვანელოები; უმნიშვნელოვანესი კომპონენტი — პედაგოგების მხარდაჭერა. რა შეიძლება დავამატო, გარდა იმისა, რომ ყოველივე ამაზე ღირს საზოგადოების დაფიქრება, შექმნილი ვითარებიდან გამოსვლის გზების ძიება. დროა, ყველამ გააცნობიეროს, რომ მასწავლებელს საზოგადოებაში უდიდესი მისია აკისრია, მას ვანდობთ ჩვენთვის ყველაზე ძვირფასს - ჩვენი შვილების მომავალს, აქედან გამომდინარე, იგი უფლებამოსილია, ჰქონდეს საზოგადოების მხრიდან სათანადო ყურადღების, მისი შრომის აღიარებისა და დაფასების იმედი და მოლოდინი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ
2. <http://www.naec.ge/erovnuli-erovnuli-gamocdebi/shedegebis-arqivi>
3. ეროვნული სასწავლო გეგმა
4. http://www.axaliganatleba.ge/index.php?module=multi&multi_id=2, 2013-10-02

სტატიაში გამოყენებული ცხრილები, დიაგრამები, სურათები:

1. ცხრილი-2;
2. დიაგრამა-3;
3. სურათი-2.